


# სასაღხო გაზეთი



სუკრათეხიანი დამატება

გაზეთის № 265.

კვირა, 27 მარტი 1911 წ.

დამატების № 46



„ჯიუტი“ — სურათი მ. ნონნებრუსისა.

# შენსა და სიყვარული

დრამატული ჰაქმა სამ ნაწილად.

(დასასრული \*)

## IV

ძიძა. (კვლად მისთქვამს)

მზეო, გულის წამლებლო,  
ვარდ-ყვავილო სიციცხლისა;  
ფერად სხივით თვალის მკრელო,  
თვალით მკრელო შავის გზისა,—  
სიყვარულსა დაეხმარე,  
გამოსწურე ცრემლთა წყარო;  
ტანჯვის ცეცხლი გადაჰყარე,  
გვილ-მოკლულთა მეგობარო!..

## V

შენ ვარსკვლავო, ციმციმაო,  
შესადარო მზის და მთყარის;  
ცის და ქვეყნის სულთა დგმაო,  
ცის ლამაზის, მონარნარის,—  
ანათებდე გზასა ბნელსა,  
შეიბრალო სიყვარული;  
ნუ შეამიხვევ საქმეს ძნელსა,  
გაუმრთელე გულის წყლული!..

### სიყვარული.

ალარც სისხლი მაქვს და ალარც ცრემლი,  
ძიძავ, ვერ მშველის შენნი მოთქმანი;  
ღმერთო, მიშველე, მომგვარე სევდა,—  
კვლავ შემასმინოს კაეშნის ხმანი!..

ფერიები. (შემაფრინდება)

სევდა ნუ გსურს,  
ჩვენ გიშველით;  
თვალს აკივსებთ  
ცრემლით მწველით!

### 1-ლი ფერია.

გშურებოდე,  
მსწრაფლად ვილოდე;  
შენსა საყვარელს  
ველინებოდე!..  
მასზე უტკბესი  
რალა იქნება,—  
როს ტრფობის ცეცხლში  
სული ინთქება!..

### სიყვარულია

განძი ქვეყნისა;  
შემამკობელი  
მიწის და ცისა!..  
სად სიყვარული  
არა ულის ფრთასა,  
იქ სიციცხლესაც  
ვერ სდებენ ფასსა!..  
შფენება არის  
მისი გვირგვინი;  
მასში იმყოფვის  
შეება და ღზინი!..

როცა კაეშანს  
კაცი ველარ სძლევეს;  
იმედ-მიხდილი  
კვდება, სულსა ჰლევეს:  
შესძულდა ყველა,  
მთანი და ტყენი;  
ქვეყნად არაა  
მისი მომღიხენი,—  
აჩვენეთ სწრაფად  
შვენების სახე  
და მყის მოსწყდება  
გულს სივარება!..

ფერიები. (ერთად)

გშურებოდე,  
მსწრაფლად ვილოდე;

შენსა საყვარელს  
ველინებოდე!..

### 1-ლი ფერია.

ენდე ნიავსა  
შუა ლამისს;  
ენდე ტრფობასა  
ყვავილ ნამისას,—  
რომ შენსა მსხვერპლსა  
ცა შეიწირავს  
და სულის ღმერთსა  
არ გამოგწირავს!..

ფერიები. (ერთად).

გშურებოდე,  
მსწრაფლად ვილოდე;  
შენსა საყვარელს  
ველინებოდე!..

1-ლი ფერია. (სურათში ჩაიხედავს).

სურა გაივსო  
ცრემლით დამწველით;

ჩვენ გაფრინდებით  
და იქ მოკელით,—  
სადაც შვენება  
სულს ჰლევეს და ღნება  
და შენსა აჩრდილს  
ელერსება!..

ფერიები. (ერთად).

შენც ნუ გვიანობ,  
მსწრაფლად ვილოდე;  
შენსა საყვარელს  
ველინებოდე!.. (გაფრინდება)

### სიყვარული.

ვაი ტანჯულსა!  
ვაი დაგულსა!..  
რა კაეშანი  
ეწვევა გულსა  
და გაქირვების  
დღე გათენდება,—  
„წყალ-წალღბული  
ხავსს ეჭიდება!..“  
ესრედ ვარ მეცა:  
ბოდვას სევდისას  
და ათას გვარ ხმას  
ფერიებისას  
გადავყოლივარ...  
სად არის შეველა?!  
თითქოს უფსკრულში  
ჩანთქმულა ყველა!..


გებრალბოდეთი  
ღამესა ბნელსა  
ვეძებდი ჩემსა  
შვენების ღმერთსა,—  
ვიპოვე იგი,  
მზემ გამინათა...  
ვაჰიმე! დიდხანს  
ალარ მინათა!..  
წავალ და ახლაც  
თუ ვერ უშველი,—  
მეც მასთან შთანთქმავს  
სამარე ბნელი!..

(აიღებს ცრემლით სახსე სურათს და კადის).

ძიძა. (დახრქალი ჯოჯოჯობის).

პირ-ზადრო და მშვენიერო,  
მზეო, ბნელის დამორგუნავო,—  
ნუ ჩავძირავ ქირთა ზღვაში,  
ჯესაქო ვართ და უნავო!..  
შენ ანათებ მთასა და ბარს,  
სიციცხლისა მომფენელო;  
ჩვენც მოგვხედე... გვედრებით,  
გულის სევდა გავგინელო!..

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 45.



შიში. (რომელიც აქამდე ოთხის კუთხეში იყო მიკუნჭული, წინ წამოვა).

ვერ გიშველით  
ვერაფერი!  
ბასრის ხელით,  
მკლავ ძლიერია,—  
მოდის, მოჭკრის  
თვით სიკვდილი!  
ზვირთს აპობს, სკრის  
მის ქაღილი!..  
ცისა ელვას—  
გაუფრთხილდით!  
ზღვისა ღელვას—  
შორს მოსცილდით!..  
(გაჭკრება)

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

სახალხო.

სიყვარული. (მთლად მიღებული პირველი დამხობილია შვენი-ბის სამარცხე).

სევდა. (სიყვარულის მახლობლად სდგას და თავს დაჭყურებს).  
შიში. (სახალხოს გამხმარ ხეზე შემომჭდარა და შორს გაიფურება).

ძიძა. (სამარის პირად ზის და სტირის).

ძიძა.

ენაო, შაქრად დამდნარო,  
სირინოზისა ხმიანო;  
მზეო-მზის შუქთა შემკრთობო,  
მის სხივებისვე თმიანო;  
კულო-გულისა წამლებო,  
თვალთ წყაროვ აღმასიანო,—  
რად არ მოხედავ სიყვარულს,  
შენთვის გულ-მკვდარაა, ღვთიანო?  
ხომ ხედავ გაზაფხულია,  
ბროლ-ლალობს, აყვავებულა;  
ფოთოლი თრთვილსა იბერტყავს,  
ციალებს გაბრწყინებულა;  
სიცოცხლე ფრთას ჰშლის, ბუნება  
სალხენად დამშვენებულა...  
ნუ თუ შენს გულში სულთ-დგმაო,  
ზამთარი დამკვიდრებულა!..

აგერ საცაა ხეხილნი  
ნაყოფით შეიმკობიან;  
სხვა და სხვა ფერნი ყვავილნი,  
მიწაზე გაიშლებიან;  
მთიდან წამოვლენ წყარონი,  
ველ-მინდვრად დაეშვებიან,—  
რა ველარ განახვენ გულის ტოლს,  
კაენით აღივსებიან!..

გამოიღვიძე, ნუ გძინავს,  
მოავლე თვალი არესა;  
ნახე თუ ვითა გგლოვობენ,  
ყველგან და ყოველ მხარესა!  
შენს შემდეგ შუქი ჩაუქრა  
პირ-მოელვარე მთვარესა;  
ჩვენ თავნი ჩვენნი მივეცით  
გლოვას და სიმწუხარესა!.. (ჭვთიანებს).

სიყვარული. (თავს აიღებს).

წყეულიმც იყოს, ვინც ჩამძახოდა  
ხმას სანეტაროს, გულის აღმძვრელსა;  
წყეულიმც იყოს ვინც მპირდებოდა,  
ტანჯვათა შორის სასუფეველსა!..  
დავშორდი ჩემსა სულისა ღმერთსა,  
ოხვრით, ვაებით ღამეს ვათევდი;  
წინ მედგა სურა, სურა სადაფის,  
როგორც მირჩიეს, შიგ ცრემლს ვაფრქვევდი,—  
მიგრამ ამოდი!.. წახდა ყოველი!..  
ვისთვისაც ცრემლი ვაფრქვიე მწარე,—

ვერა, ველარ ვმზერ... დაშორდა სოფელს  
და ამ ლოდის ქვეშ არის მდებარე!..

სევდა. (ამოუად).

მაშ რა გეგონა?.. ყველა მოკვდება  
უსიხარულოდ, უსიყვარულოდ;  
არც ერთს წუთს ჩემს ბრკყაროს არ მოგაშორებთ,  
რა გინდ შემირისხოთ, მწყველოდ და მკრულოდ!..  
თქვენ ყველა ერთად უგუნური ხართ:  
რალაცას ეძებთ, ხოხავთ, დაცოცავთ;  
ერთ-ერთსა ჰკოცნით, ეალერსებით,  
ერთმანეთსა ჰხრავთ, ერთმანეთს ხოცავთ  
და ასე მიჭკრის თქვენი ცხოვრება...  
მე ფრთა მესხმება, უფრო ვმალდები;  
კაცისა გულსა, დამწვარ-დაგულსა,  
სამარადისოდ უახლოვდები.  
ვიდრე სიკვდილი ჰფლობს და ბრძანებლობს,  
ჩემი აჩრდილიც თქვენთან იქნება;  
ის ძილს დაგიფრთხობთ, სულს შეგიხუთავთ  
და მოგესპობათ სიამოვნება.  
როცა მიალწევთ გულის საწადელს,  
ვარდ-ყვავილებით სულს შეიმოსავთ;  
როს შეაჩერებთ ნავთ-საყუდართან  
იალქანსა და ტანჯვას წარბოცავთ,—  
ნავის კაენით თქვენთან გაფრდები!  
თქვენი სიცოცხლის უმთავრეს საგანს,—  
მძულვარებისა შხამს გადავასხავ...  
თქვენც მე ამყვებით, თქვენც მე მომცემთ ბანს!..  
შენც სასიცოცხლო პირი აღარ გაქვს,  
ცრემლად დამდნარო შეყვარებულა;  
სტიროდ შენსა დაბადების დღეს,  
სამარადისოდ დამარცხებულა!..

სიყვარული.

(ძალ-მიღებული)

დაე, დავმარცხდი!.. ღონე-მიხდილსა  
ძალი აღარ მაქვს შენთან ბჭობისა;  
სიკვდილს თვით ენატრობ... დავკარგე რწმენა  
ამ წუთის სოფლის... დასავგობისა.  
მაგრამ მთლად არ ვარ სასო-მიხდილი,  
იმედის სხივი კიდევ მინათებს  
და ჩემსა სულში, ეამსა სიკვდილის  
საუკუნეთა ღამპარსა ანთებს.  
მრწამს, ჩემი ესდენ თავის განწირვა  
ამაოებად არ გარდიქმნება;  
მრწამს ჩემი ცრემლი, თვალთვან ნადენი,  
ვისთვისაც ვკვდები, მის გულს ჩასწვდება,—  
წუთს სასიცოცხლო ძალას მოუკრებს,  
ეტყვის: მიყვარდა... თვით მკვდარიც მიყვარს  
და არაოდეს ჩემის ხსოვნიდან  
არ წავშლი ჩემსა სულის მეგობარს!..  
ეს გაგვაცოცხლებს ორივეს ერთად,  
ის მარად, ყველგან ჩემთან იქნება;  
გულს შეუერთებ, სულს-სულს დავადნობ  
და ორი ერთად გარდაიქმნება!..  
ვერვინ გაბედავს მაშინ შეგნების  
სიყვარულისგან ჩამოშორებას;  
ვერვინ გაბედავს ჩრდილი მოჭვინოს,  
მაშინ ამ სოფლის ბედნიერებას!

(კვდება)

ფერიები.

(მოფრანდებისან)

ნიავი არ ჰქრის,  
შეჩერებულა;  
საღამოს ჩრდილი  
გამეფებულა.  
ტყეც მდუმარეობს,  
მრავალ შტოვანი;

კენესის მთა-ბარი  
ზურმუხტოვანი.  
ჰა, სასაფლაო,  
ვაის მშობელი;  
ამა სოფლისა  
შუა მყობელი.  
— მკვდართ საფანეო,  
საუნჯეთ მკველო;  
ქვეყნის დიდების,  
ღირსო შემცველო,—  
შენს სამფლობელოს  
ქვეყნის შვენება,  
გუშინ შევძღვენით  
და მოსვენება  
ნუ თუ ჯერაც არ  
მოგსურვებია,  
რომ კვალად მსხვერპლი  
მოგნატრებია?!  
ჰა, სიყვარულიც  
შენ მიბარე  
და ორი გული  
ტანჯულ-მგზნებარე,—  
შენსა აკვანსა  
ებარებოდეს;  
ხშირად არწიე,  
გებრალეობდეს!..

(შვენების საშაყვს გასთხრიან და სიყვარულსაც მასთან ერთად მიბარებენ).

**სევდა.** (წინ წამოდგება).

მატყუარებო, რად დაძრწით ყველგან!  
მოქარგულ ენით ჰხიბლავთ ქვეყანას;  
კაცის გულის ქირს, ტანჯვა-ვაებას,  
რად ეუბნებით მომხიბლავ ნანას?!  
რასაც უკუნი ვერ მისწლომია,  
რასაც არა აქვს საზომ-საზღვარი,—  
თქვენ გსურთ გადასქრათ და მიტომა,  
რომ ყველა ერთად ხართ საზიზღარი!..  
ყინა ჰფიცავდა სასტიკის ფიცით:  
ამა ქვეყნისა ტურფა შვენება  
მსხვერპლსა თხოულობს და თუ შესწირავთ,  
სამარადისოდ განიკურნება?!  
თქვენა, თქვე ქვეყნის დამამხობელნო!  
თვით სიყვარულიც თქვენ დალუბევით,  
ის ეხლაც კოცხლად ივლიდა ქვეყნად,  
რომ არ დაგედნოთ ცრემლისა ფრქვევით!..

**ფერიები.**

ღამის წყვილიადი,  
ებრძვის ნათელსა:  
„რად არ აქრობო  
შენსა სანთელსა?!“  
— არ ჩაჰქრე, დღეო,  
ერიდე ბნელსა,  
გულის, გონების  
დახატვეველსა!  
შენ წყვილიდი ხარ,  
ქირში რეული,  
შმაგი, ავ-სული,  
გადარეული!  
ვაი მას ბედ-კრულს,  
ვისაცა შენა,  
გულს შთაესახო:  
მოუკვდეს ღებნა!  
ჩვენ წყარონი ვართ  
მოკამკამენი;  
ჩვენ წინ ჰქრებიან  
დღენი, ღამენი!

ჩვენ იმედნი ვართ  
ამა ქვეყნისა;  
ჩვენ მორბენი ვართ  
მსოფლიოს ქმნისა!  
ჩვენ ნუგეშნი ვართ  
მტირალ თვალისა;  
ამყვავებელნი  
მომავალისა!  
იღინეთ, წყალნო,  
მოკამკამენო;  
გათენ-დაღამლით,  
დღენო, ღამენო!  
ჰქროდე, ზეფირო,  
მარად მფრინავო;  
კვლავ იმღელვარე,  
ცხოვრების ნავო!  
ქვეყანა ჰგებეს,  
იგი იქნება;  
უფრო ფრთას გაშლის,  
აყვავილდება!  
გაცოცხლდებიან  
ყოველნი მკვდარნი;  
გაიშლებიან  
ყვავილნი მქენარნი!  
სიყვარული კვლავ  
მოგვევლინება,  
მას ნათელს მოჰფენს  
სულის შვენება.  
(ჰქრებიან)

**სევდა.** (წახბ-შეუხრეჯად).

დღე იცოცხლონ! არც მე მოვეკვდები!  
შავი სუდარით შევიმოსები;  
ათი-ათას ფრად გარდავიქნები,  
აქაც ვიქნები, იქაც ვიქნები!..  
(შეუფარება)

**შიში.** (ხეზეა).

მოდის ღამე! შავნი თვალნი,  
მოსისხარნი, ელავენ;  
ზღვის ტალღები, ვითა მთები,  
ზე იწვევენ, ღელავენ!  
ლტოლვა ჩქარა! შორს ილტვოდე,  
გაურბოდე მის სახეს!..  
ვაი სოფელს, გულის მომწყველს,  
ვაჰ, კაცთა სივადლახეს!..  
(გაფრინდება).

(სამუაროს წყვილიდი წამაწვევა. შორით მოისმის მიკითხვის შემზარავი კვილე. ძიძა მარტოა სასაფლაოზე. დაინკებს, საფლავის ქვაზე თავს დააუდრებს და შორს გაისმის მისი გულ-საყვავი ქვითანი).

**ძიძა.** (ტირის).

შუა ღამის დაჰკრავს ზარი,  
გარს სიჩუმე გამეფდება;  
ალარ დაჰბერს ნიავ-ქარი,  
თვალს მილულავს ვარსკვლავთ კრება;  
დაიძინებს მინდორ-ველი...  
დაიძინებს მთლად ქვეყანა,—  
თქვენც ძინეთ... გულის მკვლელო,—  
შორს გაისმის ძიძის ნანა!..  
თქვენს ძილს ეკბილად შევიანავ  
ყველგან... ალარ დაეშორდები;  
გულის სიღრმეს ჩავიმარხავ  
და აროდეს არ მოვეკვდები! (სტირის)  
ვაჰმე! წვეთი... ღაწვზე... მწველი...  
ზეცაც თქვენთვის სტირის, ვანა?  
დაიძინეთ... გულის მკვლელო,—  
შორს გაისმის ძიძის ნანა!..

**ბ. ახოსპირელი.**

